-რესწ მეთოდოლოგია-

რესურსეფექტური და სუფთა წარმოება (რესწ) არის პრევენციული გარემოსდაცვითი სტრატეგიების ინტეგრირებული და უწყვეტი გამოყენება **პროცესებზე, პროდუქტებსა და სერვისებზე,** რათა გაზარდოს ეფექტურობა და შეამციროს რისკები ადამიანებისა და გარემოსთვის. რესწ არის ყველაფერი ნაკლები რესურსებით წარმოებაზე, გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებაზე და მთლიანი პროდუქტიულობის გაზრდაზე. **მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის** რესწ მეთოდოლოგია არის ეფექტური ინსტრუმენტი წარმოების ხარჯების შესამცირებლად მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტული უპირატესობის გასაუმჯობესებლად და ეკოლოგიურად სუფთა პრაქტიკის გამოყენებით. ასევე, რესწ ითვლება ეფექტურ ინსტრუმენტად მცირე და საშუალო ბიზნესში ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების დანერგვისა და პოპულარიზაციისთვის.

ალუმინის მწარმოებელი

კომპანიის მიმოხილვა

მისამართი:
ძირითადი პროდუქცია: ალუმინის სხმულების წარმოება ალუმინის ჯართის და წიდის დნობისა და დამუშავების გზით
თანამშრომლების რაოდენობა:
ძირითადი ბაზრები: ადგილობრივი ბაზარი
მართვის სისტემები:



ეს ქართული კომპანია იყო EaP GREEN პროგრამის ნაწილი 2013-2017 წლებში და 2019-2020 წლების RECP მონიტორინგის EU4Environment Action-ის ფარგლებში.

კომპანია აწარმოებდა ალუმინის სხმულებს ალუმინის ჯართის და ალუმინის წიდის დნობითა და დამუშავებით. ალუმინის სხმულების წლიური წარმოება შეადგენდა დაახლოებით 440 ტონას. აქედან, დაახლოებით 347,6 ტონა ალუმინის სხმული დამზადდა ალუმინის ჯართის დნობით, 85,8 ტონა სხმული იწარმოებოდა სხვა კომპანიებისგან შეძენილი წიდის გადამუშავებით. დანარჩენი 6,6 ტონა ალუმინი წარმოიქმნა ჯართის დნობის შედეგად დარჩენილი წიდის გადამუშავებით. ენერგომოხმარების და საერთო ხარჯების შემცირების მოტივით, ამავე დროს გარემოსდაცვითი და ტექნიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებით და სხვა ბაზრებზე გასვლის შესაძლებლობების ძიებით, კომპანია შეუერთდა EaP GREEN-ს 2015 წელს. ამ პუბლიკაციაში ნაჩვენებია კომპანიის გამოცდილება, რომელიც ასახულია 2020 წელს ჩატარებული მონიტორინგის ანგარიშში, პროგრამის დასრულებიდან ხუთი წლის შემდეგ.

სარგებელი

- **ენერგიისა და რესურსების ეფექტურობაზე ორიენტირებული რესწ-ის ერთი ვარიანტის განხორციელება**
- **საჭირო ინვესტიციის უკუგების ადეკვატური პერიოდი**
- **მაზუთის მოხმარების შემცირება: 67%-ით**
- **ენერგიის დაზოგვა, რამაც გამოიწვია CO_2-ეკვ შემცირება წლიურად 15.2 ტონით**

პროექტის მიდგომა

რესწ მონიტორინგის დროს განხორციელდა საწარმოო უბნის შემოწმება და შეირჩა რესწ-ის ერთი ვარიანტი უკუგების ნორმალური (5-დან 6 წლამდე) პერიოდით:

ტექნოლოგიის მოდერნიზაცია არსებული სადნობი ღუმელის ჩანაცვლებით ელექტრო ინდუქციური ღუმელით. განხორციელებული ღონისძიება დაეხმარა კომპანიას ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებასა და ენერგიის მოხმარების შემცირებაში (ერთი ტონა პროდუქტზე), რადგან ჯართის სადნობი არსებული ღუმელი შეიცვალა ინდუქციური ღუმელით. გარდა ამისა, ღონისძიებამ ხელი შეუწყო მასალების მნიშვნელოვან დაზოგვას (როგორიცაა მაზუთი) და შეამცირა ემისიები შესაბამისი რაოდენობით.

მიღწეული დაზოგვები

ძირითადი განხორციელებული ქმედებები

რესწ ვარიანტი: არსებული სადნობი ღუმელის ჩანაცვლება

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

	ინვესტიციები (ევრო)	დაზოგვა (ევრო/წელი)	უკუგების პერიოდი (წელი)
რესწ ვარიანტი:	4,000	690	5.8

დაზოგილი რესურსები

	საწვავი (მაზუთი) ($მ^3$/წელი)	ენერგია (კვტ.სთ/წელი)
რესწ ვარიანტი:	**18,660**	**145,800**

ემისიების ჯამური შემცირება

	CO_2-ექ. (ტ/წელი)
რესწ ვარიანტი:	**51.5**

ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შემოთავაზებული რესწ ღონისძიების განხორციელების შემდეგ, კომპანიამ დარწმუნდა საწარმოო სიმძლავრეების გაზრდის გეგმების რელურობაში. სხვა მსგავსი გეგმები მიზნად ისახავდა მთლიანი წარმოების გაუმჯობესებას, პერსონალის ინფორმირებულობის ამაღლებას ძირითად სფეროებში და ენერგიისა და რესურსების უფრო ეფექტურ გამოყენებას, ასევე ნარჩენების შემცირებას.

ძირითადი მიზეზი, რის გამოც კომპანიამ გადაწყვიტა შეეერთებოდა რესწ-ის სადემონსტრაციო პროექტს, იყო ენერგიის ჭარბი მოხმარების შეზღუდვა და მართვის ოპერაციების გაუმჯობესება. პროექტის დაწყებამდე გაუმჯობესების ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროები იყო ენერგოეფექტურობა და ნარჩენების მართვა. როგორც რესწ პროექტში მონაწილეობის მთავარი შედეგი, კომპანიამ მიიღო მეტი ცოდნა ენერგოეფექტურობისა და რესურსების ეფექტურობის კონკრეტული მეთოდების მნიშვნელობის შესახებ ყოველდღიურ წარმოებაში.

RECP-ის დანერგვა იყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამების - **EaP GREEN** (2013-2017) და **EU4Environment Action** (2019-2022) ნაწილი, განხორციელებული UNIDO-ს მიერ. ამ კონტექსტში, კომპანია შეუერთდა რესწ ტრენინგებისა და დახმარების პროგრამას EaP GREEN-ის ფარგლებში და მონიტორინგი განხორციელდა EU4Environment-ის ფარგლებში. შემდგომი ვიზიტები ასევე ჩატარდა EU4Environment-ის ფარგლებში, განხორციელებული რესწ ვარიანტების შესამოწმებლად EaP GREEN პროგრამის დასრულების შემდეგ. EU4Environment ეხმარება ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს, შეინარჩუნონ ბუნებრივი კაპიტალი და გაზარდონ ადამიანების გარემოსდაცვითი კეთილდღეობა გარემოსთან დაკავშირებული ქმედებების მხარდაჭერით, უფრო მწვანე ზრდის შესაძლებლობების დემონსტრირებითა და გახსნით და გარემოსდაცვითი რისკებისა და ზემოქმედების უკეთ მართვის მექანიზმების დაწესებით. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს: **www.eu4environment.org**

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია UNIDO და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

UNITED NATIONS INDUSTRIAL DEVELOPMENT ORGANIZATION

გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია
ქ-ნი ტატიანა ჩერნიავსკაია
EU4Environment პროექტის მენეჯერი
ტელ: +43 1 26 0 26 5520
ელ-ფოსტა: t.chernyavskaya@unido.org

EEC · ეეგ

ენერგოეფექტურობის ცენტრი
0160, დ.გამრეკელის ქ. 19, VI სართული, ოფისი 611,
თბილისი, საქართველო
ტელ: +99 53 2224 25 42
ელ-ფოსტა: eecgeo@eecgeo.org
ვებგვერდი: www.recp.ge